

კასუხები ხშირად დასვულ კითხვებზე – მასწავლებლებისთვის

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრა ელექტრონულ ფორმატში, ამჟამად, მასწავლებლის საგნის გამოცდაზე, უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე, ასევე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებელ ტესტირებაზე დარეგისტრირებულ მასწავლებლებს განაგრძობს.



გთავაზობთ ხშირად დასვულ კითხვებსა და კასუხებს:

თუ სთავაზობთ მასწავლებლებს რაიმე სახის დახმარებას მასწავლებლის რატიონალურად მომზადებაში და მასწავლებლის დასადასტურებელი გამოცდის მომზადებაში, რა სახის დახმარებას უნდა მივაწოდოთ?

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია დამხმარე მასალები მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მსურველთათვის.

როგორია ზღვარი უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე?

უფროსი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული უნარების ტესტის მაქსიმალური ქულაა 54. იმისათვის, რომ გამოცდაში გადამსწავლეს ბარის დასადასტურებელი უნარების მასწავლებლის სტატუსი, მან უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, ანუ 33 ქულა. გამოცდის ხანგრძლივობაა 4 საათი. პროფესიული უნარების ტესტში 3 ტიპის დავალებია: არჩევითი, შესაბამისობისა და ღია დავალები.

ვის შეუძლია სპეციალური უფროსი მასწავლებლის გამოცდაში მონაწილეობა?

ამ მხრივ, არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, ამ გამოცდის ჩაბარება ნებისმიერ პირს შეუძლია. თუმცა, დამატებით რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გამოსაცდელი იმისათვის, რომ უფროსი სპეციალური პედაგოგი გახდეს, ეს საკითხი „მასწავლებლის სახლში“ უნდა დააზუსტოთ, რადგან საკითხი ცენტრის კომპეტენციის ციკლიდანაა.

დაწყებითი საფეხურის გამოცდაში შიდა ზღვრების გადალახვა თუ არის სავალდებულო?

ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV კლასები) მასწავლებელთათვის ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში – აკადემიური უნარების ნაწილში – მასწავლებელმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა – 14) 40%-ზე მეტი, ანუ 6 ქულა ან მეტი; ბუნებისმეტყველების (დანეყებითი საფეხური I-VI), ქართული ენისა და ლიტერატურის (დანეყებითი საფეხური I-VI) და მათემატიკის (დანეყებითი საფეხური I-VI) ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში – აკადემიური უნარების ნაწილში – აპლიკანტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა – 14) 40%-ზე მეტი, ანუ 6 ქულა და მეტი.

შეიძლება თუ არა ცვლილება მასწავლებლის საგნის გამოცდას და როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია ამ შესახებ?

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა დამხმარე კრებულები მასწავლებლებისთვის ყველა საგანში. თითოეულ კრებულში დეტალურადაა აღწერილი ტესტის სტრუქტურა, მითითებულია ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, შეფასების სქემები, ხშირად დასვებულ შეკითხვებს და სხვ.

რა შემთხვევაში ეთვლება ზღვარი დაძვარვად მასწავლებლის მსურველს?

საგანში შემომსვლელ (მაძიებელ) მასწავლებელს ზღვარი დაძვარვად ეთვლება, თუ მან მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი დააგროვა.

რას ეფუძნება მასწავლებლის ტესტირებისათვის განსაკუთრებული პროგრამა?

პედაგოგთა საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტი ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის სტანდარტს. ტესტის საშუალებით ფასდება საგნის სწავლებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მასალის ცოდნა, მასწავლებლის მიერ პრაქტიკული უნარების გამოყენება, ანალიზის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარები.

მასწავლებლის მსურველმა, საგნის გამოცდის გარდა, პროფესიული უნარებიც უნდა ჩააბაროს თუ არა და რას ისახავს იმის დასადასტურებელი ტესტი?

მასწავლებლობის მსურველი პირები მხოლოდ საგნის გამოცდას აბარებენ, პროფესიული უნარების ჩაბარების ვალდებულება კი, პრაქტიკოსის სტატუსის მქონე პედაგოგებს აქვთ.

პროფესიული უნარების ტესტი მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს პედაგოგი მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რამდენად შეუძლია მას სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მასწავლელთა სწავლით დაინტერესება და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, მასწავლელის შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება. მასწავლებლის პროფესიული უნარების კომპეტენციის დადასტურება იმის ერთგვარი წინაპირობაა, რომ სკოლებში იმუშავენ პედაგოგები, რომელთაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ პროფესიონალური აუცილებელი უნარებიც.

რა შედეგით გვითხრათ მუსიკაში კარანტის დაგეგმვაზე, ტონალობა თუ გვიცვლინება?

კარანტი მნიშვნელოვანი საფარჯიმოა მუსიკალური სმენისა და მუსიკისთვის. იგი ავითარებს მელოდიის აღქმისა და დამახსოვრების, მარტივი ფორმისა და რიტმული სურათის გააზრების, ბგერების სიმალის განსაზღვრისა და ნოტებით დაფიქსირების უნარებს. დავალება გულისხმობს მოსმენილი მელოდიის ჩანერგას სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმად, რვატაქტიანი და ერთტონალურია. კარანტის ტონალობა ცნობილია. მელოდიის მოსმენისა და ჩანერგისათვის გეძლევათ 15 წუთი; მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. სანოტო სისტემაზე მოცემულია გასაღები. აპლიკანტმა უნდა ჩანეროს შესაბამისი ტონალობის საგასაღებო ნიშნები, კარანტის ზომა, მელოდიური და რიტმული ნახატი. ფასდება შემდეგი მონაცემების სისწორე: ზომა, ბგერის სიმალლე და გრძობობა. დავალების მაქსიმალური ქულაა 5. შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება შეიძლება შეფასდეს 5, 4, 3, 2, 1 და 0 ქულით.

რა ცვლილებების შეტანა დაგეგმილი ისტორიის 2021 წლის ტესტში?

2021 წელს, ისტორიაში, მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის მაქსიმალური ჯამური ქულა, 60-ის ნაცვლად, 55 გახდება. შესაბამისად, შეიცვლება ტესტირების ხანგრძლივობაც – 5 საათის ნაცვლად, 4 საათს გაგრძელდება. ტესტში აღარ იქნება 32-ე დავალება – „სადისკუსიო თემის განსაზღვრა“, რომელიც გაკვეთილზე სადისკუსიო თემის განსაზღვრას ეძღვნებოდა. ეს დავალება 4-ქულიანი იყო. ასევე 31-ე დავალება (ისტორიული წყაროს ანალიზი), რომელიც 19-ქულიანი იყო, 18-ქულიანი გახდება. შესაბამისად, ტესტს დააკლდება 5 ქულა.

მასწავლებლის მსურველმა და მომხმარებელმა მასწავლებლები ერთსა და იმავე ტესტს აბარებენ და თუ განსხვავდება რაიმე მათი გამოცდა ერთმანეთისაგან?

პრაქტიკოსი და მაძიებელი პედაგოგების ტესტი იდენტურია. ისინი ერთად და ერთსა და იმავე დღეს გადიან ტესტირებაზე. მათი განაწილება საგამოცდო ცენტრებსა და სექტორებში ხდება შემთხვევითობის პრინციპით.

უცხოური ენის გამოცდაში ლაპარაკისა და მოსმენის დავალება ერთ დღეს ექნებათ მასწავლებლებს?

წერილი და მოსმენის დავალებები ერთ დღეს მიენიჭებათ გამოსაცდელს, ხოლო ლაპარაკის ნაწილი გამოცდა სხვა დღეს ჩატარდება.

რა დონეა მომთხოვნი მასწავლებლის ენის ცოდნა?

გამოცდაზე მომდებელი ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა, კერძოდ, მისი ენობრივი კომპეტენცია ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული B2 (საშუალოზე მაღალი) ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში. მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- ✓ ნაკითხოს შესაბამისი სირთულის ინფორმაციული, შემეცნებითი ან პროფესიული შინაარსის ტექსტი და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია. გამოიყენოს დავალებს შესაბამისი კითხვის სტრატეგიები.

- ✓ მოსმინოს შესაბამისი სირთულის ტექსტი (გაბმული ტექსტი ან ინტერვიუ). გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია. გამოიყენოს დავალების შესაბამისი მოსმენის სტრატეგიები.

- ✓ დაწეროს სამოტივაციო წერილი და თხზულება. მკაფიოდ, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადმოსცეს საკუთარი აზრი მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. ზუსტად და თანმიმდევრულად დაიცვას დავალების მოთხოვნები. წერისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოიყვანოს არგუმენტები. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.

- ✓ ილაპარაკოს ბუნებრივად, დაუბრკოლებლად და არგუმენტირებულად მოცემული თემატიკის გარშემო. საუბრისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია. გამოიყენოს მოთხოვნის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურები.

შეიძლება თუ არა, მასწავლებლის გამოცდა ჩააბაროს სტუდენტმა?

საგნის გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს დამამთავრებელი კურსის სტუდენტს, რადგან დიპლომის გარეშე შედეგის გამოყენება შეუძლებელია პედაგოგიური საქმიანობისათვის.

გეოგრაფიის გამოცდაზე რუკები თუ დაგვირგობა?

გეოგრაფიის გამოცდაზე აუცილებლად დაგვირგობათ ტოპოგრაფიული, მსოფლიოსა და საქართველოს ფიზიკური რუკები (A3 ფორმატის).

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს თუ შეიძლება ცვლილება?

ტესტი კვლავ სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი. თუმცა ცვლილებები შეეხო ტესტის სამივე ნაწილს, კერძოდ: I. ქართული ენა – 2021 წელს სტილისტიკის, გრამატიკისა და პუნქტუაციის ცოდნა შემოწმდება 6 ორქულიანი ღია ტიპის დავალებით. გასულ წელს ამ ტიპის დავალება იყო 7. ასევე ამოღებულია ერთი კომპლექსური (ოთხქულიანი) დავალება, რომელიც გრამატიკის თეორიულ ცოდნასა და სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ამოწმებდა. დარჩა ორი კომპლექსური დავალება: 1. პუბლიცისტურ ტექსტში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებული მსჯელობა, რომელიც შეფასდება 11 ქულით, ნაცვლად 7 ქულისა; 2. მოსწავლის ნაწერის შეფასება, რომელსაც ცვლილებები არ შეეხება.

II. ქართული ლიტერატურა – 2021 წელს ლიტერატურის ცოდნა შემოწმდება 15 არჩევითი საკითხიანი დავალებით (15 ქულა), გასულ წელს ამ ტიპის დავალება იყო 20.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი – დავალების პირობა იგივე რჩება. ცვლილებები შეეხება შეფასების კრიტერიუმებს. მაქსიმალური შეფასება იქნება 20 ქულა (გასულ წელს ამ დავალების მაქსიმალური შეფასება იყო 15 ქულა). 2020 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს მოაკლდა 10 არჩევითი საკითხიანი დავალება (ნაკითხულის გააზრება). როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, შესაძლებელი გახდა ტესტირების ხანგრძლივობის შემცირება. 2021 წელს ტესტური დავალებების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა და მთლიანობაში შეადგინა 17 დავალება. ამდენად, 2021 წელს ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, ხოლო ტესტირების ხანგრძლივობა – 4 საათი.

სამოქალაქო განათლების გამოცდა, 2021 წელს, გარკვეული ცვლილება შეიძლება, კონკრეტულად რა ცვლილებას გულისხმობთ?

2021 წლის სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტის ფორმატის განახლების შედეგად, ტესტის მაქსიმალური ქულა გახდა 55, ტესტის შესრულებისათვის საჭირო დრო კი – 4 საათი, ტესტურ დავალებათა რაოდენობა – 23.

2021 წლის საგამოცდო ტესტში აღარ შევა შემდეგი დავალებები:

- ✓ დავალება №11 (1-ქულიანი) – სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა ცოდ-

გამოცდა 2021

ნას შემოწმებს 10 არჩევითპასუხიანი დავალება, ნაცვლად 11 დავალებისა;

✓ დავალება №19 (6-ქულიანი) – დავალებაში მოცემული იყო ერთი თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი (პირობითად, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება) და შეფასების სქემა. გამოსაცდელს მოუთხოვებოდა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ქულების მინიჭება, შეფასების სქემით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. 2 ქულა გადანაწილდება სხვა ღია დავალებებზე.

გამოცდაზე კალამი შეგიძლიათ მოვიტანოთ თუ დაგეგმვა?

სექტორში კალამი დაგეგმვა. სურვილის შემთხვევაში კი, გამოსაცდელს საშუალება აქვს, მოიტანოს საკუთარი კალამი შემდეგი პარამეტრებით – შავი, ტუშის (გელიანი), (0,5-0,7 მმ.) ბურთულიანი წვერი.

თუ შეიძლება ისაუბროთ პასუხების მონიშვნის ინსტრუქციებზე, რათა შეცდომა არ დაგეგმვა?

პასუხების ფურცელზე მოქმედებთ დავალების შესაბამისი ნომერი. თქვენ მიერ არჩეული პასუხი აღნიშნეთ X ნიშნით. მაგალითად, თუკი მე-3 საკითხის პასუხად აირჩიეთ B პასუხის ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოქმედებოთ მე-3 საკითხის დავალების რიგი და ამ რიგში, პასუხის (B) სვეტის

შესატყვის უჯრაში დასვათ X ნიშანი. დასაშვებია, რომ X ნიშანი გამოსცდეს თეთრ უჯრას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრაზე მოკლე. თითოეული საკითხის შესაბამის რიგში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვათ X ნიშანი. თუ რიგში ერთზე მეტ X ნიშანს დასვათ, ამ საკითხის არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვათ X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვათ X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშანს უჯრას აღიქვამს. ღია დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე, დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ჩანერეთ თქვენი პასუხი. შესაძლებელია პასუხის გადასწორება (არასწორი პასუხის გადახაზვა და გვერდით სწორი პასუხის დაწერა). თქვენი პასუხი არ უნდა გაცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს. პასუხების ფურცლის ნიშნულში მოცემულია ცალკე ფაილა.

რას ამოწმებს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ტესტის დასრულება და ღია დავალებები?

დახურული ტიპის დავალებაში თითოეულ კითხვაზე მოცემულია 4 სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. თითოეული დავა-

ლება ფასდება 1 ქულით. ამ ტიპის დავალებები მოცემულია როგორც საგნობრივი კომპეტენციის ნაწილში, ასევე მეთოდის ნაწილშიც. ღია დავალება გამოსაცდელისგან აუცილებლად მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ქულების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი სწორი არგუმენტის ჩაწერა იქნება საჭირო კონკრეტულ კითხვაზე. თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

რა შეგიძლიათ გვითხრათ ისტის გამოცდაზე?

ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან – თეორიული ცოდნა (წერილობითი) და პრაქტიკული ნაწილი. 23 ივლისს ჩატარდება ტესტირება, რომელიც შემოწმებს გამოსაცდელის თეორიულ ცოდნას, ხოლო 25 ივლისს გაიმართება პრაქტიკული უნარ-ჩვევების დასადასტურებელი ტესტირება. იმისათვის, რომ გამოცდა წარმატებით ჩაბარებულად ჩაგეთვალოთ, უნდა გადალახოთ ჯამური ქულის 60%-ზე მეტი, ანუ მინიმუმ 43 ქულა უნდა დააგროვოთ. ტესტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაწილის შესასრულებლად აპლიკანტს მუშაობა მოუწევს Windows 10 ოპერაციული სისტემის გარემოში, დავალებები კი უნდა შეასრულოს Microsoft Office 2019 (Word, Excel, PowerPoint) საოფისე პაკეტის ვერსიაზე. ტესტირების დროს არ მოგიწევთ Office 365 პაკეტის აპლიკაციების გამოყენება.

საგანმანათლებლო რესურსები

კანდიდის პირობებში განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე მბრძნობიარე აღმოჩნდა

ირაკლი თავაძე

დღეს ჩვენს რუბრიკაში ქოზულეთის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის წარმომადგენელი, რომელიც კანდიდით გამოწვეულმა კრიზისმა ისეთივე სირთულეების წინაშე დააყენა, როგორც დანარჩენი რესურსცენტრები. მათაც მოუხდათ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა, სკოლების დროებით მიტოვება და, ფაქტობრივად, „ახალი ველის სივრცის გამოგონება“, რადგან სრულიად ახალ რეალობაში გააგრძელეს მუშაობა. თუმცა სირთულეებს თავი გაართვეს და ისევ დაუბრუნდნენ საკლასო ოთახებს.

პარალელურად, რესურსცენტრი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებსაც უწყობს ფხვს და ყველაფერს აკეთებს სიხარულით დასაწერად, მასწავლებელთა მხარდასაჭერად. მით უფრო, სკოლების რიცხვიც გვირია, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობაც, ანუ საბაზო გვირია. ამ თემებზე გვესაუბრება ქოზულეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაღონა გომიტიძე.

– რამდენი სკოლაა თქვენს მუნიციპალიტეტში და როგორია მოსწავლე-მასწავლებელთა კონტინგენტი?

– ქოზულეთის მუნიციპალიტეტში 49 სკოლაა, აქედან 46 საჯაროა და 3 – კერძო. მიმდინარე სასწავლო წელს საჯარო და კერძო სკოლებში 11848 მოსწავლე და 1201 მასწავლებელია, აქედან 9 – მენტორი მასწავლებელი, 133 – ნამყვანი, 849 – უფროსი, 184 – პრაქტიკოსი და 26 – მაძიებელი.

– რას აკეთებს რესურსცენტრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის? – მუნიციპალიტეტის სკოლებში დასაქმებული პედაგოგებისთვის საქართველოს განათ-

ლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი ტრენინგების, სემინარების (ვებინარების) ჩატარების მიზნით, რესურსცენტრს რეგულარულად უწევს საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, ყოველწლიურად ტარდება მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენცია, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მასწავლებელთათვის კონსულტაციები სასერტიფიკაციო გამოცდების მსვლელობასთან და მათზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით; მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლებში, ადგილებზე გასვლით ხდება მათთვის კონსულტაციების განვლა სასწავლო პროცესის ხარისხიანად

წარმართვის, ეროვნული სასწავლო გეგმის ცალკეული საკითხების განხილვის მიზნით და კიდევ სხვა მრავალი ღონისძიება.

– არაფორმალური და სამოქალაქო განათლების კუთხით რა მდგომარეობაა?

– რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, რესურსცენტრი, ამ მხრივაც, ხშირად ხელს უწყობს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გავრცელებას მოსწავლეთა კონკურსების, ოლიმპიადების შესახებ. სასკოლო კლუბების მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, რესურსცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მშობლებთან, დაინტერესებულ თემთან.

ასევე, რესურსცენტრის ორგანიზებით, არაერთხელ დაიგეგმა ღონისძიებები არაფორმალური და სამოქალაქო განათლების ხარისხის ასამაღლებლად, მაგალითად, მოსწავლეთა ვიზიტები სახელმწიფო ორგანიზაციებში, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმების ჩვენება და მათი განხილვა, სასწავლო-შემოქმედებითი შეხვედრები სხვადასხვა სკოლების თანატოლ მოსწავლეებთან და სხვა.

– რა მიღწევები გაქვთ მოსწავლეთა სასკოლო თუ საზოგადოებრივ აქტივობებში?

– ჩვენი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა კონკურსებში. მიმდინარე სასწავლო წელს გამარჯვებულებიც გვყავს, მოსწავლეები მონაწილეობენ და იმარჯვებენ ეროვნულ ინტელექტუალურ ჩემპიონატში „ეტალონი“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამის „ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის“ ფარგლებში, ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“ ტარდება. აჭარაში სასკოლო ჩემპიონატს, საქართველოს კლუბის „რა? სად? როდის?“ მიერ მინიჭებული ექსკლუზიური უფლებით, ა)იპ „აჭარის ინტელექტ კლუბი“ ახორციელებს. შესაბამისად, აქაც გვყავს გამარჯვებული გუნდები.

– დავისახელეთ ამ მხრივ გამოჩენილი სკოლები და ის სფეროები, სადაც მათ მიაღწიეს წარმატებებს?

– მუნიციპალიტეტში, ისე როგორც მთლიანად ქვეყანაში, გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, წარმატებული მოსწავლეები სხვადასხვა მიმართულებით: ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში, შემოქმედებით სფეროში, სპორტში. ასეთი მოსწავლეები თითქმის ყველა სკოლაში გვყავს და ამიტომ ცალკეული

სკოლების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

– რა პრობლემებია მუნიციპალიტეტის სკოლებში, გაქვთ თუ არა ახალი შენობების ან რემონტის საჭიროება, ინფრასტრუქტურის მხრივ ხომ არაა სირთულეები?

– გეთანხმებით, თქვენ მიერ ჩამოთვლილი გამოწვევები ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლებსაც ეხება, თუმცა, სარეაბილიტაციო საკითხების, ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის მონერგვის კუთხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან არაერთი პრობლემა მოგვარდა.

– რა პრობლემები შეგიქმნათ პანდემიამ და დისტანციურმა სწავლებამ, რამდენად შეძელით ყველა სკოლაში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა და რაიმე მიზეზით ხომ არ დარჩა რომელიმე მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა?

– პანდემიის და დისტანციური სწავლების არაერთი საკითხი დარჩა მოსაგვარებელი, ყველა ცდილობდა, მოსწავლეთა და მშობელთა წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში წვლილი შეეტანა. გვექონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან შემოთავაზებული სხვადასხვა ალტერნატივა: „ტელესკოლა“, სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმები, სკოლების ადმინისტრაციის მხრიდან შეთავაზებული დახმარება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების მხრივ, მასწავლებლებს მხრიდან მუდმივი ჩართულობა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით და სხვ.

– თავად სისტემაზეც აღიარა, რომ დისტანციურმა სწავლებამ გარკვეული ჩამორჩენა გამოიწვია. ზაფხულში თუ ივლისში რაიმე ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად?

– სამწუხაროდ, პანდემია სახელმწიფოთა ცხოვრების ყველა სფეროს შეხვო, მათზე გარკვეული ზემოქმედებაც იქონია. ვფიქრობ, განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე აღმოჩნდა მათ შორის, ვინაიდან მრავალი სირთულისა თუ გამოწვევის მიუხედავად, შეძლო დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა და ადაპტირება. ჩვენ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლების ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მთელ საზოგადოებასთან ერთად შეეძლოთ საკუთარ თავში ახალი ძალების, უნარებისა და მისწრაფებების აღმოჩენა ისე, რომ სასწავლო პროცესის უწყვეტი მსვლელობა, განათლებისკენ სწრაფვა არ შეგვიჩერებია. ვფიქრობ, ეს არ იყო მარტივი, თუმცა გამოსავლის ძიების პროცესი საკმაოდ საინტერესო იყო. საზაფხულო და ზოგადად სამომავლო გეგმებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვირუსის გავრცელებასა და საერთო მდგომარეობაზე დამოკიდებულია.



როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის ფიზიკაში



ნიკოლოზ გოგოლაშვილი
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ფიზიკის ჯგუფის წარმომადგენელი

დღეს გვსაუბრებით ფიზიკის საგამოცდო ტესტის შესახებ. შეიცვალა ტესტის ფორმატი, ადრე 75-ქულიანი იყო, წელს 63-ქულიანია, შესაბამისად, დროც შემცირდა, სამსაათ-ნახევრის ნაცვლად, 3 საათი ეთმობა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე დევს წელს გამოცემული კრებული აბიტურიენტებისთვის, სადაც თქვენ შეგიძლიათ ნახოთ როგორც საგამოცდო პროგრამა (რა საკითხების ცოდნა მოგეთხოვებათ გამოცდაზე), ასევე ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მოწმდება გამოცდაზე, აგრეთვე გასული წლის ტესტი (სწორი პასუხები, შეფასების სქემები) და 63-ქულიანი, ახალი ფორმატის ტესტი, ასევე, სწორი პასუხებითა და შეფასების სქემებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 63-ქულიან ტესტში რაც გვიდევს, ეს ძველი, სხვადასხვა წელს გამოცდაზე გასული ამოცანებიდან არის აღებული, უბრალოდ ფორმატის მოვარგეთ, დაახლოებით, როგორი იქნება 63-ქულიანი ტესტი. ამოცანები, დონით, ზოგი უფრო მარტივია, ზოგი – უფრო რთული. ვიმეორებ, ეს არ გახლავთ სპეციალურად ახალი გამოცდისთვის მომზადებული ტესტი. ამ ტესტის ზოგიერთი ამოცანის მაგალითზე, გავამახვილებ თქვენს ყურადღებას მნიშვნელოვან მომენტებზე.

ტესტში ამოცანების სახეები ისეთივეა, როგორც აქამდე იყო. როგორც ვახსოვთ, დავალებები სამი ტიპის იყო: დავალებები, რომლებშიც არის 5 არჩევითი პასუხი და იქიდან ერთადერთი მხოლოდ სწორი; იყო ე.წ. შესაბამისობის ტიპის დავალებები, სადაც ობიექტების ერთ ჯგუფს უნდა შეუსაბამოთ რაღაც ობიექტის სხვა ჩამონათვალიდან, ანუ ერთი ჩამონათვალის ობიექტს უნდა შევუსაბამოთ სხვა ჩამონათვალის რომელიმე ობიექტი. არის შემთხვევები, როდესაც შეიძლება შესაბამისი ობიექტი არ მოიძებნოს, ამ შემთხვევაში, უფროსად ტოვებთ ცარიელს, შეუსვებელს. თუ მოხდა ისე, რომ ერთ ობიექტს შეესაბამება რამდენიმე ობიექტი (ეს ჯერ არ მომხდარა), მაშინ ყველა ის ობიექტი უნდა იპოვოთ, მაგალითად, წერია – ენერგიას შეუსაბამეთ რაღაც ერთეულები და ერთეულებში არის ჯოულიც და ნიუტონ-მეტრიც, ერთი შეესაბამება ენერგიას და მეორეც, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთი რამ იშვიათად ყოფილა, სამაგიეროდ ბევრი ყოფილა ისეთი, როდესაც რომელიმე ობიექტს არ მოეძებნოს შესაბამისი ერთეული, მაგალითად, ხახუნის კოეფიციენტი. როგორც იცით, ხახუნის კოეფიციენტი უერთეულო სიდიდეა და როცა ვამბობთ, ხახუნის კოეფიციენტს შეუსაბამეთ რომელიმე ერთეული ჩამონათვალიდან, ცხადია, იქ არ მოიძებნება არც ერთი ერთეული, რომელიც ხახუნის კოეფიციენტს შეესაბამება და შესაბამისი უფროც შეუსვებელი დარჩება.

ახლა ერთ ღია ამოცანაზე ვისაუბროთ და იმ შეცდომებზე, რასაც აქ უშვებენ აბიტურიენტები. აი, გვაქვს ასეთი ამოცანა:

(5 ქულა) ნახტვს განსხვავებული სიღრმის წყაროები უნდა იქნას 6-36 მ. მისი მთავარი წილია $r=1$ მმ. ხოლო კონცენტრაციის ცვლილება $C=2$ მკგ რეზისტორების წრებში მოითხოვს ნახტვს წრეებში დაყრდნობის მუდმივი დენის განაწილებით.

1) გარე წრეების წილია;
2) დენის ძალა R_1 წრეებში;
3) ძაბვა R_2 წრეებში;
4) R_3 წრეებში გამოყოფილი სიმბოლო;
5) კონცენტრაციის მუდმივი.

პირველი:
1) $R_1=R_2(R_3+R_4)+2$ მმ $R_1=R_2+4$ მმ $R_1=R_2+R_3+R_4+11$ მმ
(1 ქულა)
2) $I=6/(R_1+3)$ ა $I=6/(R_1+3)$ ა (1 ქულა)
3) $U=I R_2=6$ ვ (1 ქულა)
4) $Q=I^2 R_3 t=18$ მკგ $Q=I^2 R_3 t=18$ მკგ (1 ქულა)
5) $q=C U=30$ მკგ (1 ქულა)

ან უფრო მეტი და ხარვეზი გეხვება:
1. მოცემული მხოლოდ პასუხი (მასალი ვეღვათ მითხროს სწორი იყოს), მაგრამ არა ნახტვის ამოხსნის გზა - შენსთვის წელი კვლეა.
2. თვითონ, რომ პასუხი უფრო მეტი გასაბრუნებელია, უნდა იქნას ნახტვის ამოხსნის გზა და დენის განაწილების ამოხსნის გზა.
3. თუ ვეცდებით წყაროს მუდმივი დენის, უფრო მეტი მს გარე წრეებში გამოყოფილი სიმბოლო ჩაიკლებს ანუ არ ითვალისწინებ წყაროს გამოყოფილი სიმბოლო.
4. არ უნდა იქნას ნახტვის სიმბოლო სიმბოლოების ერთეული.

ზისტორები, ერთ-ერთთან, პარალელურად, შეერთებულია კონდენსატორი და დენის წყარო. მოცემულია დენის წყაროს ელექტრომომძრავებელი ძალა, მისი შიგა წინააღობა, კონდენსატორის ელექტროტევადობა, ყველა რეზისტორს ანერჯია თავისი წინააღობა და დავალება გვეუბნება: 1. იპოვეთ გარე წრეების წინააღობა, 2. დენის ძალა კონცენტრულად ერთ-ერთ წინააღობაში, 3. ძაბვა რომელიმე სხვა წინააღობაზე, 4. ერთ-ერთ წინააღობაში გამოყოფილი სიმძლავრე და 5. კონდენსატორის მუხტი. პირობაში წერია – მას შემდეგ, რაც დენი დაიწყება. ასეთი ამოცანა იშვიათია აბიტურიენტებისთვის, მაგრამ ამ ამოცანის ამოხსნა თქვენს ძალებს სავსებით შეესაბამება.

კონდენსატორში მუდმივი დენი, როგორც იცით, არ გადის, ვინაიდან ის არაგამტარია. უნდა მიხვდეთ, რომ მუდმივი დენის შემთხვევაში, დენი გადის მხოლოდ გამტარებით შედგენილ წრეში. ამიტომ, ცოტა ხნით, დაივიწყეთ კონდენსატორი, დაიწყეთ ამოხსნა. ახლა გიჩვენებთ, როგორ მიდის ამოხსნის თანმიმდევრობა: პოულობთ სრულ წინააღობას, იქ ორი ფარულად შეერთებული გამტარია, წერტილურად შეერთების ფორმულას, წერტილურად შედგენს. არავინ არ გთხოვთ, რომ მოიყვანოთ გამოთვლები ან ზუსტი ჩასმები გააკეთოთ (ეს შეიძლება შავ ფურცელზე გააკეთოთ). მთავარია, გზა იყოს სწორად მიითვლება. ჩვენი მოთხოვნაა, ღია ამოცანებში, აუცილებლად, პასუხებთან ერთად, იყოს მოკლე, მაგრამ ნათლად გადმოცემული პასუხის მიღების გზა, ანუ რა ფორმულა გამოიყენეთ ამ შედეგის მისაღებად, თვითონ გათვლა შეგიძლიათ შავ ფურცელზე გააკეთოთ, ოღონდ შედეგი უნდა შეიტანოთ და არ დაივიწყოთ ერთეულის მიითვლება. ფიზიკაში, მოგეხსენებათ, სიდიდეებს აქვთ ერთეულები. ერთ-ერთი შეცდომა არის ეს – ბევრს ერთეულების მიითვლება ავიწყდება.

აქ ამოხსნის გზა ასეთია: ნაპოვნია მეორე წინააღობა, მერე – მთელი წრეების წინააღობა, მერე გამოვიყენებთ ომის კანონი მთელი წრეების წინააღობის და ნაპოვნია დენის ძალა, შემდეგ ნაპოვნია ერთ-ერთ უბანზე ძაბვა, რომელსაც კითხულობდნენ და ა.შ. თუ თქვენ ეს ფორმულები არ გინერიათ და მხოლოდ სწორი პასუხები წერია, რა თქმა უნდა, ეს ნაწერი არ შეფასდება. ძალიან სამწუხარო იქნება, მაგრამ ეს ნამუშევარი არ შეფასდება იმიტომ, რომ მოთხოვნაა, ამოხსნის გზა ნათლად იყოს ნაჩვენები, ოღონდ მოკლედ.

რაც შეეხება კონდენსატორის ელექტროტევადობას, თქვენც მიხვდებით, რომ ნახაზზე, რომელიც თქვენ ცოტა ხნის წინ გიჩვენეთ, კონდენსატორი ფარულად არის შეერთებული R მესამე წინააღობის რეზისტორთან და ამიტომ მასზე ძაბვა იქნება იგივე, რაც რეზისტორზეა. ეს ძაბვა როდის ნარმოიქმნა? ცხადია, მანამ, სანამ მუდმივი დენი დაიწყება.

კიდევ ერთი შეცდომა – როცა ძაბვას ვეძებთ, მთელი ამ უბნისთვის გამოვიყენებთ ომის კანონი იმიტომ, რომ ნაპოვნი გვექნება ფარული შეერთების წინააღობა, ნაპოვნი გვექნება, ასევე, სრული დენი და ერთბაშად, ერთი ფორმულით ვიპოვეთ ძაბვა. ბევრი აკეთებს სხვა გზით, რომელიც აგრეთვე მისაღებია, მაგრამ რთულია – შემოყავთ დენის ძალები ამ გამტარებში და დენის ძალების ჯამი არის სრული დენი, ხოლო მათი შეფარდება, როგორც ვიცით, უნდა იყოს წინააღობების შებრუნებული შეფარდების ტოლი. თუ აბიტურიენტი ამ ორ განტოლებას დაწერს, აქედან მიიღებს დენის ძალებს და შემდეგ ძაბვას იანგარიშებს, რა თქმა უნდა, სრულად ჩაეთვლება, ოღონდ ეს უფრო გრძელი გზაა. ეცადეთ, მოკლე გზით ამოხსნათ ამოცანები. და კიდევ ერთი დამახასიათებელი შეცდომა, რომელიც აქ მოსდით (ალბათ უყურადღებობის ბრალია, ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდაზე ყურადღების მოპოვება) – ბევრი წერს, რომ დენის ძალების შეფარდება წინააღობების შეფარდების ტოლია, ანუ მიანიათ, რომ 6-ომიანი მეტი დენის ძალა გადის, ვიდრე 3-ომიანიში, რაც მცდარია.

ახლა შესაბამისობის ტიპის დავალებებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მაგალითად, გვაქვს ასეთი შესაბამისობის ტიპის დავალება:


ნავს უძრავი ლერძის გარშემო, R რადიუსიან წრეწირზე მუდმივი V სიჩქარით. იმპულსის მოდული აღნიშნულია P-თი, კინეტიკური ენერჯია – E-თი, ძალების ტოლქმედი – F-ით. დაადგინეთ შესაბამისობა ციფრებით დანომრილ გამოსახულებებსა და ასოებით დანომრილ ფიზიკურ სიდიდეებს შორის. აბიტურიენტმა პასუხების ფურცელზე, სათანადო უფრაში, უნდა შეიტანოს სათანადო სიმბოლო – X (ჯვარი).

რას ვხედავთ აქ, რა სიდიდეებია? ეს არის გარკვეული გამოსახულებები, აქეთ კი – გარკვეული სიდიდეები. ცხადია, ეს გამოსახულებები უნდა გარდავექმნათ და რომელ სიდიდეს მივიღებთ, უნდა შევხედოთ. გამოვიყენებთ ნიუტონის კანონს პირველ გამოსახულებაში – ძალა არის მასისა და აჩქარების ნამრავლის ტოლი; წრეზე ბრუნვის დროს, აჩქარება არის სიჩქარის კვადრეტი გაყოფილი რადიუსზე, ძალა გამოვიდა – mv კვადრეტი გაყოფილი R-ზე. ამ გამოსახულებას შეიტანთ პირველში და რას მიიღებთ? გამოვიყენებთ მასა – m. შეხვდებით, აბა, სად გვაქვს ეს მასა – m, რა ადგილას გვაქვს? – E, ე.ი. პირველს შეესაბამება E, ჩამოყვებით პირველს და E-ს გასწვრივ, გადაკვეთაში დასვამთ ჯვარს. ასე გააგრძელებთ ყველა დანარჩენ სიდიდეებზე ოპერაციებს.

რა ემსებათ აბიტურიენტებს? ზოგჯერ (შეიძლება ეს შემთხვევის ბრალია ან უყურადღებობის), მაგალითად, პირველის ქვევით აღნიშნულია ორი უფრა, შესაძლოა, სხვაგან უნდა შეეტანათ ეს ჯვარი, შეეშალათ და რატომღაც პირველ უფრაში დასვეს ორი ჯვარი. ძალიან ადვილი მისახვედრია, როდესაც, მაგალითად, ე-ს გარდა, დასვეს გ, ანუ პირველი გამოსახულება არის მასა, მას შეესაბამება მასაც და სიჩქარეც. კარგად უნდა მიხვდეს ფიზიკის მცოდნე აბიტურიენტი, რომ ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, ეს გამოსახულება გარდაქმნით ან მასა გამოვიდოდა, ან სიჩქარე, ან არც ერთი მათგანი. ამიტომ რაღაც შეცდომა დაშვებული, ყურადღებით იყავით, გადაამოწმეთ, ხომ არ შეგეშალათ ჯვრების შეტანა სათანადო ადგილას.

ხშირად გვაქვს ამოცანები ერთეულებთან შესაბამისობაზე, ამიტომ გაითვალისწინეთ შემდეგი: შესაბამისობის ტიპის დავალებებით ხშირად ვამოწმებთ ერთეულების ცოდნას. გირჩევთ, ივარჯიშოთ – ყველა შესწავლილი ერთეული გამოსახოთ საერთაშორისო სისტემის ძირითადი ერთეულებით. ასეთი დავალებები ხშირად არის და სწორედ ეს არის ერთ-ერთი რთული დავალება ერთეულებთან დაკავშირებით. თუ ნავარჯიშები არ ხართ, ამ დავალებას ვერ გააკეთებთ. ამიტომ, ყველა შესწავლილი სიდიდე რადიკალურად გამოსახეთ ძირითადი ერთეულებით. ერთი შეცდომა, რომელიც შეიძლება მოუვიდეთ აბიტურიენტებს, არის ის, რომ ბევრს ჰგონია, რომ დენის ძალის ძირითადი ერთეული არის მუხტის ერთეული – კულონი, ამიტომ გამოსახავს კულონებით. ძირითადი ერთეული კი, ელექტრული სიდიდეებიდან, არის არა მუხტის ერთეული – კულონი, არამედ დენის ძალის ერთეული – ამპერი. ამასაც მიაქციეთ ყურადღება.

ახლა არჩევითი პასუხიან პატარა ამოცანებზე გადავიდეთ (მათ შორის შედარებით რთულ ამოცანებზე) და აქაც გარკვეული რჩევები მინდა, მოგცეთ. ამ ამოცანებში არის რთული დავალებებიც და მარტივი დავალებებიც. აი, მაგალითად, ერთი ასეთი დავალება:



დენის ძალის გრაფიკის ქვევით დროთა ღრმად ფიგურის ფართობი გადგინეთ მუხტის ტოლი. იცვლეთ როგორც სიჩქარის მდგრადი გრაფიკის ქვევით დროთა ღრმად ფიგურის ფართობი გადგინეთ მანძილის ტოლი ($\Delta q = I \cdot \Delta t$, $\Delta s = v \cdot \Delta t$)

მოყვანილია დენის ძალის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. დენი ცვლადია – ჯერ იზრდება, მერე გარკვეული დროის განმავლობაში მუდმივია, შემდეგ მცირდება და მთელ დროში, 40 წმ-ში, გადგინეთ მუხტი აინტერესებთ. როდესაც დენის ძალა მუდმივია და რაღაც დროში გადგინეთ გეკითხებიან, ადვილია – გაამრავლებთ დენის ძალას დროზე და ადვილად იპოვებთ გავლილ მუხტს, მაგრამ რა ხდება, როდესაც დენის ძალა ცვლადია, რა ვქნათ? ვაიხსენოთ, სად გვხვდება ანალოგიური სიტუაცია – იქ, სადაც სიჩქარე დროზე დამოკიდებული, სიჩქარე ცვლადია, მოყვანილია სიჩქარის გრაფიკი და გარკვეულ დროში გადგინეთ მანძილი ეკითხებიან. როგორ ვიქცევით? სიჩქარის გრაფიკის ქვევით, დროთა ღრმის შესაბამის მონაკვეთში, მოცემული ფიგურის ფართობი, რიცხობრივად, სწორედ გადგინეთ მანძილის ტოლი გამოდის. აქ არის ზუსტი ანალოგია, მუხტი იპოვება დენის ძალისა და დროის გამრავლებით, ანუ სიჩქარის ანალოგი დენის ძალა, მუხტის ანალოგი – მანძილი. ამიტომ, ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში მუხტს იქნება ტრანსპონის ფართობი, რომელიც მოქცეულია დენის ძალის გრაფიკსა და დროთა ღრმის შორის და უცებ ვიანგარიშებთ. სხვა გზითაც შეიძლება ამ ამოცანის ამოხსნა, პირველ 10 წამში გადგინეთ მანძილი ცალკე ვიპოვოთ, შემდეგ 10 წამში – ცალკე, მაგრამ პირველ 10 წამში, რადგან დენი თანდათან მატულობს, საშუალო არითმეტიკულით ვისარგებლოთ... მაგრამ მე უფრო მოკლე გზას გეუბნებით. ეცადეთ, უფრო მოკლე გზით ამოხსნათ, ამით დროს დაზოგავთ.

ახლა ცოტა რთულად გამოსათვლელი ამოცანა. პირველ

ხედავთ სქემას, რომელზეც გამოსახულია გარკვეული რე-

აქ აღწერილია ასეთი პროცესი – m მასის ბურთულა ბრუ-

აზიზურიანთა დასახელებად

ამოცანას, პასუხის გასაცემად, ბევრი გამოთვლა არ სჭირდება, ამას ცოტა მეტი სჭირდება, მაგრამ არც თუ ისე რთული:

წერტილოვანი მუხტის ველში a წერტილიდან b წერტილში გადაადგილებისას ველის პოტენციური გაიზარდა 40%-ით. რამდენი პროცენტით გაიზარდა ველის დაძაბულობის მოდული?

ა) 20%-ით ბ) 40%-ით გ) 64%-ით დ) 80%-ით ე) 96%-ით

პირობის თანახმად $\phi_b = 1,4\phi_a$


ვიხსენებთ ფორმულას $\phi = k \frac{q}{r}$, $\phi_a = k \frac{q}{r_a}$, $\phi_b = k \frac{q}{r_b}$, $E_a = k \frac{q}{r_a^2}$, $E_b = k \frac{q}{r_b^2}$ მონათხრობს დაძაბულობის მოდულის შეფარდების პირობას.

$\frac{E_b}{E_a} = \frac{r_a^2}{r_b^2} = \left(\frac{\phi_a}{\phi_b}\right)^2 = 1,96$

დაძაბულობის მოდული გაიზარდა 96%-ით. სწორი პასუხი ყოფილა ე)

ვიცით მუხტის პოტენციური ერთ წერტილში და მეორე წერტილშიც, ვიცით, რომ b წერტილში 40%-ით მეტია პოტენციური, ვიდრე a წერტილში. უნდა ვნახოთ, რამდენი პროცენტით მეტია დაძაბულობა b-ში, a-სთან შედარებით. ჩამოთვლილია სხვადასხვა პასუხები. გასაგებია, რომ დაძაბულობის ცვლილება პოტენციურის ცვლილებასთან უნდა დავაკავშიროთ. ყველაზე მარტივია, გავიხსენოთ მისი ფორმულა - ვიხსენებთ წერტილოვანი მუხტის შემქმნელი ველის პოტენციურის ფორმულას, ასევე დაძაბულობის ფორმულას. 40%-ით გაიზარდა ველის პოტენციური ჩანერა - თუ სიდიდე 40%-ით გაიზარდა, ის გახდა 140%, ე.ი. ახალი პოტენციურია 1,4 გამრავლებული ძველ პოტენციურზე, ანუ პოტენციურის შეფარდება 1,4-ია. ახლა ჩვენი დანერვილი ფორმულებიდან, დაძაბულობის შეფარდება არის მანძილების კვადრატების შეფარდების ტოლი, ხოლო პოტენციურის შეფარდება მანძილების შეფარდების ტოლია. აქედან გამოდის, რომ დაძაბულობის შეფარდება ძალიან მარტივად ჩანს, ეს არის პოტენციურის შეფარდების კვადრატის, ე.ი. 1,4 რომ ავაკვადრატოთ, გამოვა 1,96. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ დაძაბულობა გახდა 196%, ანუ რამდენი პროცენტით გაიზარდა? 96%-ით. ვნახოთ, სად არის ასეთი პასუხი, პასუხებს შორის, ეს არის ე). ამგვარად, მეოთხე დავალების სწორი პასუხია ე), შესაბამისად, ასე შევასებებთ სათანადო უჯრას.

რომელ წერტილში მიიღება A ბერძენის გამოსახულება ლინზაში (იხ. ნახ)?



საგანი მოახდელია შემკრები ლინზის ფოკუსსა და ორმა ფოკუსს შორის. ამ შემთხვევაში მიიღება ნამდვილი გამოსახულება ლინზის მეორე მხარეს ორმა ფოკუსს გარეთ. ასეთი წერტილი ერთადერთია. ესაა წერტილი 5. სწორი პასუხი ყოფილა ე)


შესაძლებელი იყო გამოვეცინებო წერტილიდან გამოსვლილი ორი სხივი: ლინზის ოპტიკურ ცენტრზე გამავალი და მთავარი ოპტიკური ღერძის პარალელური. მათი სვლა ლინზაში გავლის შემდეგ ცნობილია. ადვილად ჩანს, რომ ეს სხივები გადაიკვეთებიან წერტილში 5.

მარტივი ამოცანა ოპტიკიდან, რომელსაც არაფრის დანერა არ სჭირდება. გაქვთ შემკრები ლინზა, ასევე გარკვეული მნათი წერტილი და აბა, ჩამოთვლილითაგან (1, 2, 3, 4, 5 წერტილი), რომელი ამის გამოსახულება? როდესაც გამოცდებისთვის ემზადებით და იხსენებთ თქვენს შესწავლილ მასალას, უნდა ავათოთ შემკრებ ლინზაში საგნის გამოსახულებები, გავმელოთ ლინზაში სხვადასხვა შემთხვევები სხვადასხვა მდებარეობებში და მეტნაკლებად დავამახსოვრებთ, მაგალითად, რომ A წერტილში მოთავსებული მნათი წერტილი არის ფოკუსსა და ორმა ფოკუსს შორის შემკრები ლინზის წინ. ამ შემთხვევაში, ლინზის მეორე მხარეს, ორმა ფოკუსს გარეთ, მიიღება გამოსახულება. თუ ეს გახსოვთ, ასეთი მხოლოდ წერტილი 5-ია და პასუხს უცებ, ყოველგვარი გამოანგარიშების გარეშე, გაცემთ.

თუ ეს რა გახსოვთ, მაშინ შეგიძლიათ გავალოთ სხივები, რომელთა სვლა ალბათ უნდა გახსოვდეთ, მაგალითად, A წერტილიდან გაატარებთ ცენტრზე გამავალ სხივს. თვალთახედვითაც შეგიძლიათ ეს გააკეთოთ ან, უბრალოდ, კალამი, რომლითაც მუშაობთ, მიადოთ A წერტილზე ისე, რომ ცენტრსაც გაყვეს და ნახოთ, რომელ წერტილზე გაივლის ეს სხივი. აღმოჩნდება, რომ 2-სა და 5-ზე გაივლის, შეიძლება 3-ზეც. აქ საგარაუდო წერტილი ბერია, ე.ი. ეს სხივი არ გამოგვადგა, აბა, მოვიხიზოთ მეორე სხივი, ლინზის პარალელურად გავლილი. როგორ აგრძელებს გზას? მომდევნო ფოკუსში გადის. თუ ამ ლინზის პარალელურად გავლილ სხივს გავაყოლებთ ლინზაში მოხვედრის ადგილიდან ფოკუსზე და გავაგრძელებთ, აღმოჩნდება (ეს თვალთახედვითაც კარგად ჩანს), რომ ის წერტილ 5-ში გაივლის, ე.ი. თუ ამ სხივს გამოვიყენებთ, აქედანაც, პირდაპირ, პასუხი გამოდის, რომ არის 5.

ვთქვათ, ამ სხივის გზაზეც იყო ორი წერტილი, მაშინ რა ვქნათ? მაშინ უკვე სტანდარტული გზა რჩება - ორივე სხივი უნდა გამოვიყენოთ, ცენტრზე გამავალიც და მთავარი ოპტიკური ღერძის პარალელურიც, რომელიც, გარდატეხის შემდეგ, ვიცით, რომ გაივლის ფოკუსზე. ამ სხივების გადაკვეთით ვიპოვით მე-5 წერტილს. ეს უფრო რთულ სიტუაციაში, მაგრამ აქ ბევრად მარტივია ამოცანის ამოხსნა.

ეს არის დიაგრამა:



ფიგურისზე მოცემულია სამი გამკრები R წერტილი და დროს გავლის მანძილი გამოყოფილი P სიბრტყე და დროს გამკრები მათი მთავარი ოპტიკური ღერძის პარალელური სხივების მიხედვით დადგინდეთ უფროსი წერტილი.

პ) 3,1,2 ბ) 1,2,3 გ) 2,3,1 დ) 2,1,3 ე) 1,3,2

P=1R ფორმულა $1 = \frac{1}{f_1} + \frac{1}{f_2}$ სიდიდე რეზონირავ ნახევარსფერო კუბის ტანგენსის ტოლია, თუ ორივე ორზე მასშტაბი ერთნაირი და მისი პროპორციულია, თუ მასშტაბი ერთნაირი არა (პროპორციულობის კოეფიციენტი ერთნაირი სახეე წერტილისათვის) პ) 3,1,2 ბ) 1,2,3 გ) 2,3,1 დ) 2,1,3 ე) 1,3,2 სწორი პასუხი ყოფილა ე).



ესეც ისეთი ამოცანაა, რომელიც ძალიან მარტივად, ბევრი

ქუთაისის ბაღები, სადაც დარღვეულია აღმზრდელი პედაგოგების და ბავშვების თანაფარდობა



დიაგრამაზე ნაჩვენებია ქუთაისის სკოლამდელ დანახვებზე, ჯგუფების მიხედვით, იმ ბაღების რაოდენობა, სადაც დარღვეულია სტანდარტები.

პედაგოგებისა და აღსაზრდელების თანაფარდობის მხრივ, დადგენილი ნორმები დარღვეულია თბილისის ბაღებშიც. ჯამში, 298 ჯგუფში ერთ პედაგოგზე ბავშვების რაოდენობა აჭარბებს კანონით განსაზღვრულ ნორმას. ამის გამოწვევი მიზეზი აღმზრდელ-პედაგოგების არასაკმარისი რაოდენობაა. ადამიანური რესურსების ნაკლებობა კი, ერთი მხრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს შეზღუდული ფინანსური რესურსებით, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობით. აუდიტის დასკვნა ამ პუნქტთან მიმართებაში ასეთია: „თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დანახვებზე არ გააჩნიათ საკმარისი ადამიანური რესურსი, რათა საბავშვო ბაღების საქმიანობა შეუსაბამონ მოქმედ სტანდარტებს. სკოლამდელი აღზრდის დანახვებზე აღმზრდელთა არასაკმარისი რაოდენობა აისახება სწავლების მე-

აუდიტის დასკვნა

თოდოლოგიურ მხარეზე, რაც შესაძლებელია აღსაზრდელთა სათანადო ხარისხით სასკოლოდ მზაობისთვის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს. ასევე, პედაგოგების ნაკლებობა ხელს უშლის საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას. მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები საკითხის გადასაჭრელად. ამასთანავე, არ არსებობს კონკრეტულ დროში განეროლი გეგმა, რომლის მიხედვით პედაგოგებისა და აღსაზრდელების რაოდენობა კანონთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. ის გარემოება, რომ საკითხი გადაუჭრელია, მნიშვნელოვნად აფერხებს სკოლამდელი აღზრდის სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინფრასტრუქტურა

აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გასაზრდელად, 2014-2019 წლებში, ახალი ბაღების მშენებლობაზე გადახდილია 43,999.4 ათასი ლარი, ხოლო არსებული ბაღების რეაბილიტაციაზე 5,591.2 ათასი ლარი დაიხარჯა, არსებული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. «გამოვლენილი გარემოება მიუთითებს მენეჯმენტის მხრიდან სტანდარტების მიმართ არასთანადო დამოკიდებულებაზე, რადგან შესაძლებელი იყო, მინიმუმ, ახლად აშენებული ბაღების მოქმედ სტანდარტებთან სრულად შესაბამისობაში მოყვანა. საჯარო ბაღებში არსებული ინფრასტრუქტურის მოცულობა ვერც სერვისზე არსებული მოთხოვნის სათანადო დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ შენობები სრულად არ არის აღჭურვილი კანონმდებლობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შენობაში ბავშვების დიდი რაოდენობით კონცენტრაციის დროს. შესაბამისად, 2014-2019 წლებში, მუნიციპალი-

ტეტების მხრიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე განხორციელებული ღონისძიებები, მინიმუმ, სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას, – ვკითხულობთ ანგარიშში.

ავტორიზაცია

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესი საკითხია ბაღების ავტორიზაცია. მოქმედი კანონმდებლობით, როგორც კერძო, ასევე საჯარო ბაღების ავტორიზაციის პროცესს ახორციელებს მუნიციპალიტეტი. საბავშვო ბაღები ავტორიზაციის პირობებს იმ შემთხვევაში აკმაყოფილებენ, თუ: დაწესებულებაში სწავლა/სწავლება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად; დაწესებულების შენობა-ნაგებობა, ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შენობა-ნაგებობის მოწყობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს; დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს; დაწესებულებაში კვების ორგანიზება და რაციონის კვებითი ღირებულება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს; დაწესებულებაში ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს და სხვა პერსონალისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს. «ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ» საქართველოს კანონის თავდაპირველი რედაქციის მოთხოვნების მიხედვით, მუნიციპალიტეტებს საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი 2018 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაესრულებინათ. კანონის მიღებამდე, მასზე მუშაო-

ბის პროცესში, საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური ჯგუფი, სადაც, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებთან და შესაბამის კომპეტენტურ პირებთან ერთად, განიხილავდნენ ახალი რეგულაციების მოთხოვნებს. შესაბამისად, ორგანიზაციები რეგულაციის მიღებამდე ბევრად ადრე იყვნენ ინფორმირებული ახალი მოთხოვნების შესახებ. ამასთანავე, საბავშვო ბაღების საქმიანობის სტანდარტების შეცვლის შემდგომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე, უნდა შეექმნათ მოკლე და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნებოდა განახლებული სტანდარტის პირობებში ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების კენ.

მიუხედავად კანონის მოთხოვნებისა, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის საბავშვო ბაღებს არ განუხორციელებიათ სათანადო ქმედებები, რათა დაეკმაყოფილებინათ ავტორიზაციის პირობები. მუნიციპალიტეტებში არ შექმნილა დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა ხედვა, თუ როგორ აპირებდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ავტორიზაციის პროცესის დაწყებას. ა(ა)იპ-ების მენეჯმენტს არ განუხორციელებია სათანადო ღონისძიებები, რომლებიც ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე უზრუნველყოფდა საბავშვო ბაღების კანონით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, არსებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების პირობებში, ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, ამიტომ მათ ვერ მოახერხეს ავტორიზაციის პროცესის დაწყება. იმის გამო, რომ საბავშვო ბაღებმა ვერ დააკმაყოფილეს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ გაუხანგრძლივდათ ავტორიზაციის დასრულების ვადა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე. მიუხედავად ამისა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა ვერ შეძლეს ბაღების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ავტორიზაციის დასრულების ვადა 2021 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.

რეკომენდ

წარმატებები ჩვენს სკოლას!

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლაში არაერთი ლამაზი დღე ახსოვთ მოსწავლეებს. მართალია, პანდემიამ ბევრი რამ შეაფერხა, ბევრი ღონისძიება თუ გაკვეთილი ისე ვერ ჩაატარეთ, როგორც ვგეგმავდით, თუმცა COVID 19-ის რეგულაციების დაცვით მაინც ვახერხებდით სკოლა მონო-დების სიმაღლეზე მდგარიყო.

ჩვენს სკოლას ბევრი კარგი მოტივირებული, განათლებული, მაღალი ინტელექტის მქონე მასწავლებელი ჰყავს. მოსწავლეებიც ზრდილობით, მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსითა და მორალური შეგნებით გამოირჩევიან.

2020-2021 სასწავლო წელი ჩვენი სკოლისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ ორი უფროსი მასწავლებელი გახდა წამყვანი, რაც ბევრი შრომისა და არაერთი უძილო ღამის შედეგად მოიპოვეს. აქედან ერთმა გარე დაკვირვების გაკვეთილი გაიარა პირდაპირ, ხოლო მეორემ – ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. ჩვენს სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანმა მასწავლებელმა, ინგა ზარანდიამ, რომელიც შემთავსებელი მასწავლებელია, ასევე, ძველი სენაკის საჯარო სკოლაში, სავალდებულო აქტივობებიც განახორციელა. ორივე სკოლაში ჩაატარა წამყვანისთვის სავალდებულო გაკვეთილები, შესანიშნავი ღონისძიებები – ქართული ენისა და სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, მოაწყო შიდა სასწავლო-სასკოლო ექსკურსია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის საჯარო სკოლაში. მის მიერ შექმნილი რესურსი კარგი გზამკვლევაა ამ დიდი ენათმეცნიერის მოღვაწეობისა და შემოქმედების გაცნობის თვალსაზრისით, ბატონ არნ. ჩიქობავას ცხოვრებით და ინტერესებულ პირთათვის.

მოსწავლე ახალგაზრდები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ ამ გაკვეთილებითა და ღონისძიებებით, უფ-



რო მოტივირებული გახდნენ და ფიქრობენ, მომავალშიც არაერთი ასეთი საინტერესო რესურსებით გაჯერებული გაკვეთილისა თუ ღონისძიების აქტიური მონაწილე იქნებიან. მისასალმებელია, რომ მასწავლებლები, მიუხედავად პანდემიისა, ძალ-ღონეს არ იშურებენ მოსწავლეთა წარმატებების მისაღწევად.

გმადლობთ, რომ ასე უხალისებთ მოსწავლე ახალგაზრდობას სასკოლო ცხოვრებას, წარმატებები ლეძაძამეს საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლე ახალგაზრდობას.

მადლობა მასწავლებელს, ქალბატონ ინგა ზარანდიას სასკოლო ცხოვრებაში განუული შრომისათვის, წარმატებები მომავალშიც.

გიორგი ხურცილავა

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლის დირექტორი



2021 წლის საგამოცდო რეპულაციები

2021 წლის საგამოცდო პროცესი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდება.

1 ივლისს, ტრადიციულად, იწყება საგამოცდო პროცესი, რისთვისაც საგამოცდო საორგანიზაციო ჯგუფი მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად ემზადებოდა. არსებული რეკომენდაციები გადაიხედა კოვიდ-19-ის პრევენციის მიზნით ქვეყანაში არსებული რეგულაციების შესაბამისად და შარშანდელი კარგი გამოცდილების შედეგად შემუშავდა ახალი მიდგომა. მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს თითოეული გამოსაცდელის, ასევე გამოცდების ორგანიზებაში ჩართული პირების უსაფრთხოება. გამოცდაზე მოსულ თითოეულ პლიკანტს დახვდება უსაფრთხო და კომფორტული გარემო, სადაც ისინი ცოდნის სრულფასოვნად გამოვლენას შეძლებენ.

გამოცდები 2021-ის მთავარი სიახლე იქნება ის, რომ საგამოცდო პროცესს არ გამოეთიშებიან ის აპლიკანტები, რომლებსაც გამოცდების მიმდინარეობისას ვირუსი დაუდასტურდებათ – პირებს, რომლებსაც საგამოცდო პერიოდში გამოუვლინდებთ კოვიდ-19, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საგანგებოდ შედგენილი ცხრილის მიხედვით, გამოცდას შესაბამის საგანში ჩაუტარებს, არაუადრეს 2 კვირისა. მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იქნება გეოგრაფიული დაფარვა.

გამოსაცდელმა უნდა იხელმძღვანელონ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციებით:

- მაქსიმალურად დაიცვან სოციალური დისტანცია;
- მუდმივად ეკეთთ პირბადე, როგორც გამოცდებზე რეგისტრაციის დროს, ასევე გამოცდების მიმდინარეობისას;
- დაიმუშაონ ხელები ადგილზე განთავსებული სადეზინფექციო ხსნარით. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ ასევე შემუშავდა: საგამოცდო ცენტრებიდან მიღებული ნამუშევრების უსაფრთხოდ დამუშავების, საგამოცდო ცენტრების დალაგების, სანიტარული კვანძის/საპირფარეშოების დალაგება/დეზინფექციის, ცენტრის პერსონალის მუშაობის პირობები. რეკომენდაციები იხილეთ ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ცენტრი ნელსა და მოაწყობს საკარანტინე სივრცეებს იმ გამოსაცდელისათვის, რომელთაც აღინიშნება ტემპერატურა 37°C და მეტი, მაგრამ არ აქვთ დადასტურებული Covid 19.

გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა დაშვება მოხდება მხოლოდ ყოველი საგამოცდო სექტორის ფართობის 50%-ზე. თითოეული სამუშაო მაგიდა წინა მხრიდან აღჭურვილი იქნება გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით; მაგიდებს შორის დაშორება იქნება მინიმუმ 2 მეტრი, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი – 1 მეტრი. კონდიციონერები ირთვება 30° გრადუსზე მაღალი ტემპერატურის პირობებში. ქვეყანაში დაწესებული ზოგადი რეგულაციის შესაბამისად, პირბადის ტარების წესი გავრცელდება საგამოცდო პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის.



წარმატება არ განისაზღვრება მხოლოდ საკუთარ თავზე მორბეული კეთილდღეობით

რუბრიკის სტუდენტ მარიამ დავლაშვილი, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მოლაპარაკებებისა და კონფლიქტების მოგვარების ფაკულტეტის სტუდენტი



ნიმუშებით გაფარადებული ცხოვრება

დავამთავრე 116-ე საჯარო სკოლა. სკოლის ასაკიდან ძალიან აქტიური ვიყავი, ყველა ღონისძიების ორგანიზატორობას ვახერხებდი და, საკლასო აქტივობების პარალელურად, ძალიან ბევრ პროექტში ვმონაწილეობდი. ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო პროექტი „ბავშვი ბავშვისთვის“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთთან“ ერთად განვახორციელეთ, პროექტის ფულით ძალიან ბევრი წიგნი ვიყიდეთ და ობოლთა თავშესაფარს გადავცეთ. ამასი ვიყავი, რომ საკუთარი შრომით შექმნილი წიგნებით სხვა ბავშვებს გავუფერადებთ ცხოვრებას.

პროფესიის არჩევანი

პროფესიის არჩევა ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. დანყებული ჩემი პიროვნული თვისებებითა და იმ ღირებულებებით, რომლითაც ვავიზარდ, დამთავრებული ჩემი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე მიმდინარე მოვლენებით. როგორც გითხარით, ყოველთვის გამოვიჩინე ინიციატივით და ლიდერული თვისებებით. მინდოდა, საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების აგენტი ვყოფილიყავი. ამასთან, ღირებულებებმა, რომელშიც ვავიზარდ, ჩამოაყალიბა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფილოსოფია. ერთ-ერთი ასეთია პასუხისმგებლობის გრძნობა, არა მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ, არამედ პასუხისმგებლობა, რომელიც სხვების წინაშეც მაქვს. ვფიქრობ, წარმატება მხოლოდ საკუთარ თავზე მორგებული კეთილდღეობით არ განისაზღვრება, არამედ იმით თუ რა შედეგად ვაქვეყნებ სხვებისთვისაც. ამას დავამთავრე 2008 წელს მიმდინარე მოვლენებით. მაშინ 12 წლის ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, ძალიან დიდი გავლენა მოახდინა შემდეგში ბევრ გადამწყვეტილებაზე. 2014 წელსაც, უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს, იქ ვიმყოფებოდი ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში. ამ ყველაფერმა ერთად, საბოლოო ჯამში, განსაზღვრა ჩემი პროფესია.

გზა საქართველოდან ამერიკისკენ

ამერიკაში როდესაც ჩამოვედი, აბსოლუტურად არავის ვიცნობდი, მოვდიოდი შტატში, რომელშიც არც დასარჩენი მქონდა და არც ნაცნობი მყავდა. თუმცა, აქ ერთი არაჩვეულებრივი ქართული ოჯახი დამხვდა, რომელმაც საკუთარი ოჯახის წევრებით მიმიღო. ამერიკაში ყოფნის პირველ, ყველაზე რთულ დღეებში გვერდით დამიდგნენ და ყველანაირად დამხმარდნენ. შემდეგ ეს ოჯახი ჩემი ოჯახი გახდა ამერიკაში. როდესაც ასეთ სიკეთეს გიკეთებენ, ყოველთვის ფიქრობ რისი გაკეთება შეგიძლია შენ, უკან რომ დააბრუნო ეს სიკეთე. შეუძლებელია, არ გაგიჩნდეს სურვილი და მოტივაცია იმისა, რომ ანალოგიურად დაეხმარო სხვებს და გაუკვალო გზის თუნდაც ძალიან მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი.

ყველაფერი ისევე ჩემს პასუხისმგებლობის გრძნობას უკავშირდება. საქართველოში ბაკალავრიატი ინგლისურ ენაზე დავამთავრე და ძალიან კარგი, საფუძვლიანი განათლება მივიღე „შვიდ ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“. ამ დროისთვის, მთავარი გამოწვევა – ენობრივი ბარიერი, რასაც საზღვარგარეთ სწავლისას ხშირად აწყდებიან საერთაშორისო სტუდენტები, გადალახვით მქონდა. ვფიქრობ, შესაძლებლობებისა და განათლების ქონა გარკვეულ პასუხისმგებლობასაც მოიცავს. ამიტომ, მგონია, რომ ადამიანმა საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობა არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვების კეთილდღეობისთვისაც უნდა გამოიყენოს. სწორედ ამიტომ, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საერთაშორისო განათლება და გამოცდილება აუცილებელია საკუთარ საქმეში წარმატების მისაღწევად.

გოსტონი – განათლების დედაქალაქი და მასაჩუსეტსის უნივერსიტეტი

გამომდინარე იქიდან, რომ მაგისტრატურის საფეხურზე ვსწავლობ, სტუდენტის შეფასება, ძირითადად, კვლევითი, ანალიტიკური ნაშრომების საფუძველზე ხდება. ამასთან, მნიშვნელოვანია თუ რამდენად ვიყენებთ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. განათლების ამ საფეხურზე, ამერიკაში, თითქმის არ არის მესხიერებითი სასწავლო სისტემა. ვკითხულობთ ძალიან ბევრ ლიტერატურას, მიმოვიხილავთ და კრიტიკულად ვაანალიზებთ ნაკითხულს. ეს ყველაფერი აუცილებელია სხვადასხვა საკითხზე საკუთარი აზრისა და შეხედულების ჩამოყალიბებისთვის, რასაც თითქმის ყველა საგანში ვხვდებით – ვკითხულობთ თეორიულ მასალას, კრიტიკულად ვაანალიზებთ, შემდეგ ამის საფუძველზე ვწერთ საკუთარ შეხედულებებს ანალიტიკური სტატიების, პოლიტიკის დოკუ-

მენტების ან გარკვეული პროექტების სახით.

დაფინანსების მოპოვება, განსაკუთრებით მაგისტრატურის ხარისხისთვის, ნამდვილად არ არის მარტივი, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის. მაშინ, როდესაც ამერიკელი სტუდენტები დაფინანსების უამრავი წყაროთი სარგებლობენ, საერთაშორისო სტუდენტებისთვის რესურსი შედარებით მცირეა. ქართული სტუდენტებისთვის დაფინანსების წყარო შეიძლება გახდეს საქართველოს მთავრობა – სტუდენტური სტიპენდიებით, ამერიკის მთავრობა – ფულბრაიტის პროგრამით ან უშუალოდ ამერიკული სასწავლებელი. მე ამერიკული უნივერსიტეტი მაფინანსებს, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი სახელმწიფო დაფინანსებაზეც ვაგაქეთ. ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის პერიოდში, როდესაც სააპლიკაციო განაცხადი შევიტანე უნივერსიტეტში და გასაუბრება დამინიშნეს, მეგონა, რომ საკმარისად კარგი აპლიკაცია არ მქონდა და სურდათ, გასაუბრების საფუძველზე მიეღოთ გადაწყვეტილება – ჩავრიცხულიყავი თუ არა პროგრამაზე. გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტი ჩემი კანდიდატურით განსაკუთრებულად დაინტერესებულა და ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის პერიოდში, დაფინანსებასთან ერთად, უნივერსიტეტში სამსახური შემომთავაზეს, კვლევის ასისტენტად.

სწავლის გადასახადი განსხვავდება შტატების და უნივერსიტეტების მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ მე ბოსტონში ვსწავლობ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მონიავე ქალაქია განათლების მიმართულებით (ბოსტონის განათლების დედაქალაქსაც უწოდებენ), აქ სწავლაც და ცხოვრებაც საკმაოდ ძვირია. საშუალოდ, ერთი წლის სწავლის საფასურია 50 000\$. თუმცა, გააჩნია სწავლის საფეხურს, უნივერსიტეტს და შტატს გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის გადასახადი კრედიტების რაოდენობის მიხედვით დაანგარიშდება. აკადემიური მიღწევების მიხედვით უნივერსიტეტები გამორჩეულ სტუდენტებს საკუთარ დაფინანსების სისტემას და სტიპენდიას სთავაზობენ. აპლიკანტის შეფასება რომელიმე ერთი ფაქტორით განპირობებული ნაკლებადაა, ის მთლიანობაში ფასდება, სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე და მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა: აკადემიური მოსწრება, სამუშაო გამოცდილება (მაგისტრატურის საფეხურზე), ენის სერტიფიკატის ქულა; რამდენად აქტიურია აპლიკანტი; აპლიკანტისა და უნივერსიტეტის მიზნებისა და ღირებულებების თანხვედრა და ა.შ. ამ ყველაფრის ერთიანობით, საერთო ჯამში, ფასდება აპლიკანტის სიძლიერე. შემდეგ, სტუდენტობის პერიოდშიც, უნივერსიტეტები ძალიან ბევრ შესაძლებლობებს გთავაზობენ როგორც დაფინანსების, ასევე დასაქმების კუთხითაც. ჩემ შემთხვევაში, ყოველთვის ხელს მინდობენ, რომ ჩემი ინიციატივები განვახორციელო, მაგალითად: შარშან ზაფხულს გავხდი უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტიპენდიანი, რომლის ფარგლებშიც, 3 თვის განმავლობაში, ქართველ სტუდენტებს ონლაინ ტრენინგს ვუტარებდი მოლაპარაკებების ხელოვნებაში.

ქართული და უცხოური განათლება

ძალიან ბევრი შემთხვევა ვისაუბრო ამ საკითხზე, თუმცა ვეცდები მაქსიმალურად მოკლედ გიპასუხო. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტები ძალიან მაღალი ხარისხის განათლებას იღებენ, თანამედროვე ლიტერატურისა და მრავალპროფილური სწავლების საშუალებით. განსხვავება ალბათ ის არის, რომ ამერიკული საგანმანათლებლო სისტემა კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე დაფუძნებულია, რაც თავის მხრივ, იმის შესაძლებლობას იძლევა, მოვლენებსა და ცნებებს არა საზოგადოებრივი მართებების სახით ვუყურებთ, არამედ ექვი შევიტანოთ მათში და ახალი ცოდნა შევქმნათ. მაშინ, როდესაც ქართული საგანმანათლებლო სისტემა უფრო მეტად ორიენტირებულია უკვე არსებული ცოდნის კარგად დასწავლაზე. ამასთან, ამერიკული საგანმანათლებლო სისტემა მეტად იძლევა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

ყველაზე საინტერესო სივრცე უნივერსიტეტში

თავდაპირველად, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე უნივერსიტეტის მასშტაბმა – საერთო საცხოვრებლებთან ერთად პატარა ქალაქივითაა გაშენებული ყურეში. კამპუსებს შორის კი, უნივერსიტეტის ავტობუსს ვიყენებთ იმისათვის, რომ ერთი კამპუსიდან მეორეში მივიდეთ. ძალიან მომწონს უნივერსიტეტის თანამედროვე აღჭურვილი მულტიფუნქციური ზონები, იქნება ეს დასასვენებელი, სპორტული, სასწავლო თუ სათამაშო ზონა.

ანდემიის და ონლაინ სწავლების აუცილებლობა

პანდემიამ კიდევ ერთხელ დავგანახა, რომ ტექნოლოგიური შესაძლებლობები უსაზღვროა და ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებული გარემოს ცვალებადობასთან ერთად, ადამიანიც ადაპტაციას განიცდის. სიმართლე გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლამ და მუშაობამ უამრავი შესაძლებლობა გააჩინა, რა თქმა უნდა, მე მაინც აუდიტორიაში სწავლა მომწონს, ჯგუფულებთან და პროფესორებთან პირისპირ ინტერაქცია.

რას ეტყობოდა ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ

როდესაც ასეთ რთულ გზას იწყებ, სხვისი გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ქართველი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც საზღვარგარეთ სწავლის გაცემის შესახებ სურთ, ვიდეოებს ვწერ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა: უნივერსიტეტების არჩევა, სააპლიკაციო მოთხოვნები სხვადასხვა საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, არსებული შესაძლებლობები, გამოწვევები და საეიზო პროცედურები. სამომავლოდ, ამ პროექტის კიდევ უფრო გაფართოებას ვაპირებ და ძალიან ბევრ სიახლეს ვაგაქნებ ქართველ ახალგაზრდებს, ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, პრობლემა, რა თქმა უნდა, ენობრივი ბარიერი და კულტურული თავისებურებებია, თუმცა ორივე ძალიან მარტივად გადალახვადია. მეორე, ალბათ სასწავლო მასალის რაოდენობაა. ხშირად, ერთი კვირის მანძილზე, რამდენიმე წიგნი ვაქვს ხოლმე წასაკითხი, საშუალოდ, 500 გვერდი, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სწავლად კითხვის ტექნიკა არ ისწავლება, შესაძლოა დასაწყისში სტრესული აღმოჩნდეს სტუდენტისთვის. მესამე, ალბათ, ის ლეგალური შეზღუდვებია, რომელსაც საერთაშორისო სტუდენტები აწყდებიან დასაქმების კუთხით. ამერიკაში საერთაშორისო სტუდენტებს მუშაობის უფლება მხოლოდ კამპუსის ტერიტორიაზე აქვთ, 20 საათით, კამპუსში არსებული სამსახურები კი რაოდენობრივად მცირეა.

მომავლის გეგმები

ვფიქრობ, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიკაციაზე დაფუძნებული საკუთარი საქმის პროფესიონალი კადრების მოძიება ნებისმიერ სფეროში, ქვეყნის სისტემის ეფექტურად მუშაობისთვის. ამიტომ ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც საკუთარი საქმის პროფესიონალია (არ არის აუცილებელი საზღვარგარეთ ჰქონდეს განათლება მიღებული, ძალიან ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას ვიცნობ, რომელიც საკუთარი საქმის პროფესიონალია და არ აქვს საზღვარგარეთ განათლება მიღებული), აუცილებლად უნდა მუშაობდეს თავისი სპეციალობით. ბუნებრივია, ვფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება მომავალში აუცილებლად ითამაშებს დიდ როლს. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების საშუალებით შესაძლებლობა მოგვეცემა, სხვადასხვა სფეროში ახალი ხედვები გავაჩინოთ და ქვეყანა განსხვავებული მიმართულებით წავიყვანოთ.

ოქანის მიღმა დარჩენილი საშობლო

ის, რაც ამერიკაში ჩემს აღფრთოვანებას, გაცუბას, გაკვირვებას იწვევს, თითოეული მოქალაქის მიერ ერთმანეთის მიმართ თანაგრძობის გამოცდილება უნარია და სახელმწიფოებრივი აზროვნებაა, რაც თითოეული მოქალაქის ყოფითი ცხოვრებიდან იწყება. ძალიან ხშირად ვფიქრობ, რა ტიპის ალზრდა და განათლება აყალიბებს თითოეულ ინდივიდში ასეთ სახელმწიფოებრივ აზროვნებას, პასუხი ჯერ არ მაქვს, თუმცა, იმედია მექნება.

როცა საქართველოზე ვფიქრობ, ერთი ძველადმოსავლური იგავი მახსენდება, რომლის სხვადასხვა ვარიანტი ძალიან ბევრი ქვეყნის ლიტერატურაშია ასახული. იგავის მიხედვით, ერთი კაცი საგანძურის საპოვნელად სხვა ქალაქში წავა, მაგრამ ეს საგანძური მის ეზოში აღმოჩნდება ჩაფლული. მიუხედავად იმისა, რომ მივიღებთ სხვა ქვეყნებში და იქ ვეძებთ „საგანძურს“, ბოლოს მაინც აღმოვაჩინებთ, რომ მთავარი რესურსი ისევე ჩვენს ქვეყანაშია. თუმცა კი, ამ მოგზაურობის დროს ვიძენთ ცოდნას, განათლებასა და გამოცდილებას. ეს ყველაფერი კი იმისთვისაა საჭირო, რომ შემდგომ ჩვენსავე ქვეყანაში ჩაფლული საგანძურის პოვნა შევძლოთ.

ესაუბრა მაქა ყიფინაი ინტერვიუ ჩაინერა 15 აპრილს

კომპლექსური დავალება

როსა ბავშვები სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ავტორები და შემსრულებლები არიან

ბელა ბლიაძე
ნეროენის №3 საჯარო სკოლის
ქიმიის და ბუნებისმეტყველების
უფროსი მასწავლებელი



წარმოგიდგინებ კომპლექსურ დავალებას ბუნებისმეტყველებაში – დანების საფეხური, VI კლასი.

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ყველაზე მწვავედ დგას ჯანმრთელობის საკითხი და ეს, მეტწილად, სუფთა გარემოს შენარჩუნებასა და დაცვაზეა დამოკიდებული, ჩვენს სკოლაში განხორციელდა პროექტი „გაუფრადოთ ჩვენი სკოლა“. ჩემი კომპლექსური დავალება სწორედ ამ პროექტისთვის შევქმენი, რათა მოსწავლეებში უფრო მეტად წამოიშობა გარემოს დაცვის საკითხი და ამ კუთხით ამემაღლებინა მათი ცნობიერება.

ზოგადად, კომპლექსური დავალება გთვლილია არა მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნაზე, არამედ მის სიღრმისეულ გააზრებასა და ყოფით საკითხებთან დაკავშირებაზე. ჩემი მიზანია სწორედ ეს იყოს, ბავშვებში ჯანსაღი შემოქმედებითი უნარების განვითარება, არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით ახლის კონსტრუირება და პრაქტიკული უნარების გამოყენება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაემთხვა დედამიწის დღეს, ვიმსჯელებთ ამ თემაზე, ბავშვებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, აქტიურად ჩაერთვნენ მუშაობის პროცესში და ხალისით ასრულებდნენ დავალებებს. მნიშვნელოვანი იყო მათთვის ის, რომ დროში არ იყვნენ შეზღუდვები, ჰქონდათ საკმარისი რესურსები, რის საშუალებასაც იძლეოდა ინტერნეტი და მათი კარგად განვითარებული კომპიუტერული უნარები. და არა მხოლოდ ეს, ბავშვებს კომპლექსური დავალება შესაძლებლობას აძლევს ჩართონ და გაშალონ საკუთარი ფანტაზია, ეს ერთგვარი შემოქმედებითი პროცესია, რაც ძალიან სახალისო და საინტერესოა.

მომზადეს მასალები, შექმნეს და სკოლაში გამოვიყენე სარეკლამო პოსტერები თემაზე: „ჩემი წვლილი გარემოს დაცვაში“, ამით სხვა ბავშვებშიც აღძრეს ინტერესი და ხელი შეუწყვეს გარემოს დაცვის პოპულარიზაციას.

შექმნეს საინფორმაციო ბუკლეტი თემაზე: „სუფთა ადგილი სუფთა აზრებია“.

შეაგროვეს ინფორმაცია და მოამზადეს პრეზენტაცია იმ ყვავილოვან მცენარეებზე, რომლებიც მათმა პატარა მეგობრებმა გააღამაზეს სკოლის ეზო.

მცენარეებთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვებაში, სკოლი ეზოს, დასახლების, ნიდაგის ტიპის დადგენაში დაიხმარეს მშობლები, ბებიები, ბაბუები, რამაც შექმნა კავშირი სკოლასა და თემს შორის.

პრეზენტაცია სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებში მოამზადეს, ზოგმა ხელით შექმნა და გააკეთა ჩანახატები. მოკლედ, ეს ყველაფერი საინტერესო და სახალისო იყო, ბავშვები თავად იყვნენ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ავტორებიც და შემსრულებლებიც. ეს იყო აქტიური შემოქმედებითი პროცესი, რაც, ჩემი აზრით, მოსწავლეებში სწორედ მოტივაციის ამალგებას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენი მომავალი ხომ ნამდვილად ამ ბავშვების, მომავალი თაობების განათლებაზე დგას.

კომპლექსური დავალება


<p>სკოლა: სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნეროენის №3 საჯარო სკოლა</p> <p>საგანი: ბუნებისმეტყველება</p> <p>მასწავლებელი: ბელა ბლიაძე</p> <p>კლასი: VI</p>
<p>სამიზნე ცნებები:</p> <p>ბიომრავალფეროვნება</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნებაში გვხვდება მცენარეების, ცხოველების და სხვა ორგანიზმების დიდი მრავალფეროვნება; • ორგანიზმების კვებითი, კავშირები ქმნის ეკოსისტემებს; • ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის. <p>კვლევა</p> <ul style="list-style-type: none"> • მეცნიერული კვლევა გვეხმარება ბუნებაში არსებული კანონზომიერებების ამოცნობასა და შესწავლაში; კვლევა შეიძლება განხორციელდეს: მარტივი ექსპერიმენტის/ცდის, საველე პრაქტიკის, დაკვირვებისა და მოდელირების გზით; • კვლევა არის მრავალეტაპიანი პროცესი; • კვლევითი უნარები უკავშირდება ყოფა-ცხოვრებას.
<p>საკითხები/ქვეცნებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანი და გარემო • ჯანმრთელობა და გარემო • ადამიანისთვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობა • კვლევა.
<p>კომპლექსური დავალება: VI კლასმა კარგად იცის, რომ ჯანმრთელობა, მეტწილად, იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც გვინვს ცხოვრება. სწორედ ამიტომ გადწყვიტეს, გააღამაზონ სკოლის ეზო. მოიტანეს ეზოს მცენარეების ნერგები: იასამანი, გეორგინა, ტიტა, ვარდი და მიხაკი. მაგრამ მცენარეებმა რომ გაიხარონ, საჭიროა მათთვის ადგილის სწორად შერჩევა და შესაბამისი მოვლა-პატრონობა. მოიძიეთ ინფორმაცია აღნიშნულ მცენარეებზე, მოამზადეთ ნერილობითი რეკომენდაცია და დაეხმარეთ თქვენს უმცროს მეგობრებს საკითხის სწორად გადაჭრაში.</p> <p>მოსწავლეთა მხრიდან გარემოს დაცვის პოპულარიზაციის მიზნით, მოამზადეთ და გამოვიყენეთ სკოლაში სარეკლამო პოსტერები, თემაზე: „ჩემი წვლილი გარემოს დაცვაში“. იმისათვის კი, რომ მსგავსი ღონისძიება სხვა კლასებისთვისაც მისაბამი იყოს, მოამზადეთ და გაავრცელეთ საინფორმაციო ბუკლეტი თემაზე: „სუფთა ადგილი სუფთა აზრებია“.</p> <p>ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ ვითარდება შესწავლის ობიექტად შერჩეული ორგანიზმების ციკლი: ერთნაირად, ორნაირად თუ მრავალნაირად მცენარეებს მიეკუთვნებიან; • როგორ იკვებებიან, იზრდებიან, სუნთქავენ და რა პირობებს საჭიროებენ შესწავლის ობიექტად შერჩეული ორგანიზმები; • რა მნიშვნელობა აქვს ადამიანს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში? • როგორ მოქმედებს სუფთა გარემო ადამიანის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

• რა აქტივობები განახორციელეთ საკითხის შესწავლისას, კვლევის თითოეულ ეტაპზე (მარტივი შეკითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა/მიზნის ფორმულირება, საკვლევი ობიექტის შესწავლა, ობიექტის პროცესების აღწერა-დახარისხება, კვლევის შედეგების პრეზენტაციისთვის მომზადება).

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის:

- წინასწარ განსაზღვრეთ რა მონაცემები დაგჭირდებათ საკითხის შესასწავლად.
 - განსაზღვრეთ, რა წყაროებიდან მოიპოვებთ ინფორმაციას.
- ამისათვის შეგიძლიათ ისარგებლოთ რესურსებით:
- ✓ ინტერნეტში მოიძიოთ ინფორმაცია საკვლევი მცენარეების საჭიროებების, სინათლის მოყვარეობისა და ჩრდილისამტანობის შესახებ;
 - ✓ მოუსმინოთ ტელეკოლის ვიდეოგაკვეთილებს;
 - ✓ ისარგებლოთ ჰიპერლინკებით: ყვავილების მოვლა; ყვავილები.
 - ✓ მოაწყობოთ სასწავლო ექსკურსია გარდენაში.
 - ✓ დაიხმარეთ და გამოკითხოთ უფროსები, შენი დასახლების(სოფლის) ნიდაგის ტიპზე ინფორმაციის შესაგროვებლად და იმის დასადაგენად აღნიშნული მცენარეები თუ ხარობენ ამ ტიპის ნიდაგზე.
 - პრეზენტაციის წარმოდგენის დროს გამოიყენეთ შესაბამისი ლექსიკური მარაგი.


კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, მეექვსეკლასელებმა დაამზადეს სარეკლამო პოსტერები – „ჩვენი როლი გარემოს დაცვაში“ და სკოლაში გამოვიყენე. გარემოს დაცვის საკითხების პოპულარიზების მიზნით, სხვა კლასების მოსწავლეების დასაინტერესებლად, ასევე, შექმნეს საინფორმაციო ბუკლეტი „სუფთა ადგილი სუფთა აზრებია“.



თითოეული ადამიანის მოვალეობაა თავის თავზე აილოს პასუხისმგებლობა ბუნების დაცვის, ვინაიდან:



„ყველაზე დიდი საფრთხე ჩვენი პლანეტისთვის არის რწმენა, რომ ვინმე(სხვა) გადარჩენს მას.“ (რობერტ სვანი)



ბთავაზობთ 2021 წლის საგამოცდო ცენტრების ჩამონათვალს

- ▶ ქალაქ თბილისის N32 საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, სანაგვე, ჩარბლის ქ. N24;
- ▶ ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, გლდანის მ/რ;
- ▶ ქალაქ თბილისის N103 საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, მესხეთის ქ. N72;
- ▶ ქალაქ თბილისის N117 საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, თრიალეთის ქ. N7;
- ▶ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, ვარდი-სუბნის ქ. N8;
- ▶ ქალაქ თბილისის N173 საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ;
- ▶ ქალაქ თბილისის N175^ა საჯარო სკოლა – ქ. თბილისი, მუხიანის მე-3 მ/კ;
- ▶ ქალაქ თბილისის N175^ბ საჯარო სკოლა – ქ.თბილისი, მუხიანის მე-3 მ/კ;
- ▶ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა – ქ. თბილისი, გლდანის მე-5 მ/რ;
- ▶ ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლა – ქ. თბილისი, დავით ჯაბიძის ქ. N30;

- ▶ ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლა – ქ. თბილისი, ჩარბლის ქ. N34;
- ▶ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა – ქ.ქუთაისი, სინაგოგის ქ. N6;
- ▶ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა – ქ. ქუთაისი, ნიქას N44;
- ▶ ანდრია რაჭამაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა – ქ.ქუთაისი, რუსთაველის ქ. N127;
- ▶ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა – ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის N47;
- ▶ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა – ქ.ბათუმი, ბაბრატყონის N121;
- ▶ ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა – ქ.ბათუმი, ინასარიძის ქ. N11;
- ▶ მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ ზუბდიდის N2 საჯარო სკოლა – ქ.ზუბდიდი, ზვიად გამსახურდიას ქ. N9;
- ▶ ქალაქ რუსთავის N22 საჯარო სკოლა – ქ.რუსთავი, ქუთაისის ქ. N6;
- ▶ ქალაქ გორის N3 საჯარო სკოლა

- ქ.გორი, დ.ამილახვრის ქ. N26;
- ▶ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლა – ქ.ახალციხე, მიქუტიშვილის ქ. N2;
- ▶ ქალაქ თელავის N8 საჯარო სკოლა – ქ.თელავი, თაყაის ქ. N69;
- ▶ ქალაქ ოზურგეთის N2 საჯარო სკოლა – ქ.ოზურგეთი, გაბრიელ ელისკოვსის ქ. N9;
- ▶ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლა – ქ.ფოთი, ზამბახიძის ქ. N3;
- ▶ დავა ხულოს საჯარო სკოლა – დ.ხულო, შავაძის ქ. N3.



სამოცდო ცენტრები

7 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“
ბთავაზობთ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიხლე
მარტივად

მისწავლავის გამომცემლობის ფასი – 27 ლარი

ბავშვის პაპარაბა
12 ლარი

ნიგონი თავაზობს I-IV კლასების მისწავლავაზე კომპიუტერული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სხივ
ფასი – 17 ლარი

სწავლავის ინტერაქტიული მეთოდები
10 ლარი

ქართული (I-VII) მისწავლავაზე გამომცემლობის
11 ლარი

პროფესიული უნარები თეორიული მასალა
15 ლარი

პროფესიული უნარები ტესტები
15 ლარი

ნიგონის თარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
პროფესიული საგამოცდო მასალის

ნიგონი I
V-XVII სს მხარელება

ნიგონი II
XIX საუკუნის მხარელება

ნიგონი III
XX საუკუნის მხარელება

თითო ტომის ფასი – 13 ლარი